

საქართველოს კანონი

"სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1. "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში /საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხლი 433/ შეტანილი იქნეს შემდეგი დამატება:

1. მე-6 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"8. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება:

ა/ სახელმწიფო კომპენსაციის/სტიპენდიის მიმღებ მარტოხელა, შრომისუნარო მშობელზე, რომელსაც სახელმწიფო კომპენსაციის/სტიპენდიის მიღების უფლებასთან ერთად წარმოეშვა უფლება მიიღოს სახელმწიფო კომპენსაცია შვილის დაღუპვის გამო „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ბ/ სახელმწიფო კომპენსაციის/სტიპენდიის მიმღებ იმ მშობლებზე, რომლის ოჯახიდან დაიღუპა ორი ან მეტი შვილი. მათ აქვთ უფლება სახელმწიფო კომპენსაციის/სტიპენდიის პარალელურად მიიღონ სახელმწიფო პენსია თითოეული დაღუპული შვილის გამო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად".

მუხლი 2. ეს კანონი 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
სააკაშვილი

მიხეილ

